პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 14 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

8 (1003)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ. [...] ქუჩა; ტელეფონი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. [...] 4 გვ. 40 კ.

**1 და 2 ქართულ დივიზიების თბილისში მდგომ ნაწილების პ. კოლექტივების საყურადღებოდ**

დღეს 14 იანვარს საღამოს 6 საათზე არმიის და ფლოტის სახლში (ყოფ. ნიკოლოზის ქ. № 51) შესდგება თბილისის გარნიზონის

**პარტაქტივის კრება**

დღის წესრიგი—კომპარტიის მე-14 ყრილობის შედეგები, მომხსენებელი არმ. პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. რატნეკი.

შესვლა პარტბილეთებით.

მე-2-რე დივ. პოლ. განყ. საორგ. ნაწილის უფროსი ბლუაშვილი.

## წითელ არმიელო! იყავ მარჯვე მსროლელი.

შაშხანის გაცნობის შემდეგ ჩვენი წითელ არმიელები იწყებენ შაშხანიდან სროლის სწავლას.

სასროლო საქმეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამხედრო დარგში. დღემდი შაშხანა პირველი იარაღია ქვეითი ჯარის. ამიტომაც ყოველი წითელ არმიელი ვალდებულია კარგად იცოდეს შაშხანიდან სროლა და საერთოდ მისი ჩინებულად ხმარება. ცუდი მსროლელი—ცუდი მეომარია, ცუდი მეომარი—მუშების და გლეხების ინტერესების და თავისუფლების ცუდი დამცველია.

მაშასადამე თითეულ წითელ მებრძოლმა თავის მიზნად უნდა დაისახოს ისწავლოს მარჯვე სროლა. მარჯვე მსროლელი—რისხვაა მტრის. ამიტომაც ნაწილში რაც უფრო მეტი კარგი მსროლელი წითელი არმიელები იქნება, მით უფრო მაღლა იქნება მისი საბრძოლო უნარი, მით უფრო მეტ ზიანს მიაყენებს ის მტერს ბრძოლაში.

ბურჟუაზიულ არმიებში დიდ ყურადღებას აქცევენ „სასროლო საქმის კარგად დაყენებას. ასე მაგალითად ამერიკის ჯარებში ყოველწლიურად იმართება საუკეთესო მსროლელთა შეჯიბრება.

და უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიულ არმიების ჯარისკაცებს დიდი მიღწევები აქვთ სროლაში.

ნუ დაივიწყებს ამას წითელ არმიელი, ნურც იმას დაივიწყებს, რომ ის სროლაშიც უნდა სჯობნიდეს ბურჟუაზიული არმიის ჯარისკაცს. წითელი მეომრის თითეული ტყვია მარჯვედ უნდა მოხვდეს მიზანში,

ამიტომაც შაშხანიდან სროლის შესწავლას ჩვენი წითელ არმიელები უნდა შეუდგენ დიდის ინტერესით და გულმოდგინეობით.

სამხკოლებმა აქედანვე უნდა დაიწყონ ჩვენს გაზეთში სისტემატიური გაშუქება იმისა, თუ როგორ მიდის სასროლო საქმის შესწავლა ნაწილში, ვინ წაიწია ამ მხრივ და ვინ ჩამორჩა. კარგი მსროლელი—პატივცემია მთელი წითელი ჯარის მიერ. ხოლო ცუდი მსროლელის ვალდებულებას შეადგენს ყოველმხრივ ეცადოს გაუთანასწორდეს კარგ' მსროლელს.

წითელ არმიელო! იყავ მარჯვე მსროლელი?

# ახალი რადიო-ამბები

## უნგრეთის ყალბი ფულის მოხელეები.

### მთავრობა სცდილობს საქმის მიფუჩეჩებას.



ადმირალი ხორტი.

უნგრეთში აღმოჩენილ იქნა ყალბი ფულის (ფრანკის) მჭრელთა ორგანიზაცია. ორგანიზაციაში ურევია მთავრობის წევრები და უნგრეთის დიქტატორი ადმირალი ხორტი. უნგრეთის მთავრობა სცდილობს მიჩქმალოს ეს საქმე, ვინაიდან თუ ხორტი გამომჟღავნებულ იქნა, მაშინ მის დიქტატურას საფრთხე მოელის დემოკრატიული ძალების მხრივ.

ამიტომ მთავრობა აცხადებს, რომ გამოძიება შეწყვეტილია, ვინაიდან საკითხი გამორკვეულია. ეს საქმე კერძო პირების საქმეა და პოლიტიკური პარტიები არაფერ შუაშიაო. მთავრობა მთელ პასუხისმგებლობას თავს ახვევს მეფისწულ ვინდიშგრეცს, რომელიც უკვე დაპატიმრებულია. სულ ჯერჯერობით ამ საქმეზე დაპატიმრებულია 21 კაცი.

## რკინის გზის კავშირის საერთაშორისო ყრილობა

მიმდინარე წლის აპრილში სევილიაში (ესპანეთში) გაიხსნება რკინის გზის საერთაშორისო კავშირის ყრილობა. ყრილობაზე მიწვეულია საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები.

## ფრეიბერგერის წინააღმდეგ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შეტანილ იქნა წინადადება, რათა პარტიიდან გამოირიცხოს ფრეიბერგერი. ფრეიბერგერი თავმჯდომარეობდა საბჭოთა კავშირში ჩამოსულ გერმანიის დელეგაციას.

## საბჭოთა კავშირში

### საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პირველი პლენუმის დადგენილებანი.

ყრილობის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის პირველ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილებათა მთელი რიგი, რომლებიც გამომდინარეობენ ყრილობის გადაწყვეტილებებიდან.

უკვე ყრილობის მიმართვაში ლენინგრადის დელეგაციისადმი ნათქვამი იყო, რომ დისკუსია უნდა შეწყვეტილიყო გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ.

ეს მითითება საფუძვლად დაედო ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებებს.

### ფოთის სამაზრო პროფკავშირთა კონფერენცია.

4 დღის სხდომების შემდეგ დაიხურა ფოთის სამაზრო პროფკავშირთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 120 კაცი გადამჭრელი ხმის უფლებით. პროფბიუროს მუშაობა მოწონებულ იქნა.

### ქოხსამკითხველოები.

შორაპნის მაზრაში არის 37 თემის და 22 სოფლის ქოხსამკითხველო.

ქოხების უმეტესობას აქვთ თავიანთი მოძრავი ბიბლიოთეკები. თვითეულ სამკითხველოსთან ეწყობა წრეები, რომლებიც იზიდავენ მთელ გლეხთა ახალგაზრდობას.

გლეხები მოითხოვენ მოძრავ კინოებს მაზრისთვის.

### კოოპერაციის მუშაობა.

კოოპერატიულ ორგანიზაციებმა წარმოადგინეს ანგარიში თავიანთ მუშაობისა ნოემბრის განმავლობაში, ზუგდიდის მაზრის 8 კოოპერატივმა მოიგო სულ 31.222 მანეთი.

## უცხო სიტყვების ახსნა

დიქტატორი—განუსაზღვრელი უფლებით აღჭურვილი თანამდებობის პირი.

პლენუმი—რაიმე დაწესებულების ან საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

დისკუსია—რაიმე საკითხის გარშემო კამათი, დავა.

ფრანკი—შვეიცარიის, საფრანგეთისა და ბელგიის ფული, უდრის 37 ნახ. კაპეიკს.

ხუთშაბათს, 14 იანვარს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია საბჭოს ყველა სექციების ბიუროების გაერთიანებული

**სხდომა**

დღის წესრიგი:

1. საბინაო საკითხი,
2. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ბიუროების წევრებისათვის სავალდებულოა.

აღნიშნულ სხდომას შეუძლია დაესწროს საბჭოს წევრებიც.

პრეზიდიუმი.

## ყალბი ფულების მჭრელი მთავრობა.

ამ დღეებში უნგრეთში გამჟღავნებულ იქმნა ყალბი [illegible]ის მჭრელი ორგანიზაცია, რომელიც შესდგებოდა [illegible] უნგრელ ფაშისტ[illegible]ისაგან. როგორც [illegible]ვა ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა უნგრეთის მ[illegible]ილი ხალხის ცნობილი ჯალათი ხორტი. ამ გამომჟღავნებამ დიდი აღშფოთება და აურზაური გამოიწვია მთელი ევროპის საზოგადოებრივ აზრში და განსაკუთრებით საფრანგეთში. ჯერჯერობით ამ საქმეზე დაპატიმრებულია 21 კაცი. მთავარი მათ შორის პრინცი ვინდიშგრეცი უეცრად „გარდაიცვალა“. დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, რომ მთავრობამ ამ საქმის გამოძიება შესწყვიტა.

ყველა ეს ცნობები ნათლად მოწმობენ მას, რომ ხორტიმ გადასწყვიტა მიჩქმალოს ეს საქმე. მაგრამ ამაოდ.

ამ სამარცხვინო საქმის მიფუჩეჩება არც ისე ადვილია, ვინაიდან ის უშუალოდ ეხება საფრანგეთის და მცირე ანტანტის არსებით ინტერესებს.

როცა საფრანგეთი სასტიკ ფინანსიურ კრიზისს განიცდის, უნგრეთის ფაშისტები გულმოდგინეთ სჭრიან ყალბ ფრანკს და მით ხელს უწყობენ ფრანკის მეტ დაცემას და დავარდნას. ცხადია საფრანგეთი ადვილად არ გაუშვებს ამ საქმეს ხელიდან.

როგორც ამბობენ უნგრეთის ყალბი ფრანკის მჭრელების საქმეს გაარჩევს ერთა ლიგა.

ასე თუ ისე უნგრეთის ფაშისტური მთავრობის საქმენი საგმიროთ გამომჟღავნდა, რაც დიდათ დასცემს ხორტის ხელისუფლების გავლენას და ხელს შეუწყობს მუშების და გლეხების რევოლიუციონური განწყობილების ზრდას.

ვინ არის ხორტი? საზიზღარი ჯალათი, რომელმაც 1919 წელში სისხლში ჩაახრჩო უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა და საშინელი თეთრი ტერორისა და ძალადობის რეჟიმი გაამეფა ამ ქვეყანაში. აი ეს ვაჟბატონი და მისი ამალა ამზადებდენ ყალბ ფრანკს თავისი ბნელი საქმეების საკეთებლად. მაგრამ მათი საქმე გამომჟღავნდა. ამის შესახებ უკვე იცის ყოველმა უნგრელ მუშამ და გლეხმა. და ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ისინი შესაფერ დასკვნას გაუკეთებენ ამ ფაქტს.

იმ მთავრობას, რომელიც ობობასავით სისხლს სწოვს ხალხს, ფეხქვეშ თელავს მის თავისუფლებას და უფლებებს, ამზადებს ყალბ ფულს და ამ ფულით აკეთებს თავის საქმეებს, დიდი ხნის არსებობა არ უწერია.

ის ადრე თუ გვიან უნდა დაეცეს მუშების და გლეხების რევოლიუციონური დარტყმის ქვეშ.

და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დღე შორს არ არის.

—ე.

# ...ბილისის პარტაქტივს ...რტიის მთლიანობისათვის

...რშაბათს 11 იანვარს ოპერის თეატრში, შესდგა ...ისის პარტაქტივის გაფართოებული კრება, რომელზედაც ამხ. სერგო ორჯონიკიძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება პარტიის მეთოთხმეტე ყრილობის შესახებ.

...ბ კრებამ ერთხმად მიიღო ასეთი დადგენილება:

...ილისის ორგანიზაციის ...ტივის საერთო სამოქალაქო კრებამ, რომელსაც დაესწრო 1.500 კაცი, მოისმინა ... სერგო ორჯონიკიძის ...ება მეთოთხმეტე პარტ...ბის შედეგების შესახებ, ...ლე სალამს უძღვნის ...ის ცენტრალურ კომი...

...ა სთვლის მეთოთხმეტე ...ულ ყრილობის გადაწყვეტილებებს სავსებით სწორად მთლიანად და სავსებით უერთდება მათ.

...ბა აღნიშნავს, რომ პარ... ცენტრალური კომიტე... ხელმძღვანელობით გადა...ან გამარჯვებამდე მი... ქვეყანა სოციალისტურ ...ნელობის შემდგომი ზრ...და გაფართოების გზით. ...ტიის მეთოთხმეტე ყრი... ნათლად და მკაფიოდ ...ლიბა ლენინის პარტიის ...ლი ხაზი და მიუთითა ...ის მუშაობაზე ლენინ... ყოველ დარგში.

...ება სიამოვნებით აღნიშ... რომ ჩვენი პარტია იდე... მთლიანია და განუყო... ხოლო კრება გამოცემს ...მოთქვამს იმ პოზიციის გა... რომელიც დაიკავა ლენინ...ის დელეგაციამ, რომელიც ...სი გამოსვლებით და მოქ...ებით შეეცადა არევ-დარევა ...ეტანა ყრილობის მუშაობა... ...ება შემცდარ ნაბიჯათ ...ლის ამხ. ზინოვიევის გამო...ას თანამოხსენებით ცეკას ...როში გამო, რამაც არამც ...ხელი არ შეუწყო მთელი ...ტიის რიგების შემჭიდროვე...ბას და ამა თუ იმ უთანხმოების მოსპობას, არამედ მას შეეძლო შეექნა საფრთხე პარტიის მთლიანობისათვის.

კრება მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ლენინგრადის ორგანიზაცია ახლო მომავალში სავსებით დაგმობს ლენინგრადის დელეგაციის მოქმედების ხაზს, ჩადგება პარტიის მოწინავე რიგებში და, გაერთიანებული ლენინურ ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ და მის ხელმძღვანელობის ქვეშ, მტკიცედ დაიცავს პარტიის ლენინურ მთლიანობას და რკინის დისციპლინას მის რიგებში.

კრება აღნიშნავს, პარტიის მეთოთხმეტე ყრილობის გადაწყვეტილებათა უდიდეს მნიშვნელობას, ჩვენი აღმშენებლობის მთელი მახლობელი პერიოდისთვის და მოუწოდებს ორგანიზაციის ყველა გადაწყვეტილებათა ყურადღებით შესწავლისა და მათი გადაუხვევლად ცხოვრებაში გატარებისაკენ".

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია ამხ. კიროვის გადაყვანის შესახებ ლენინგრადში საგუბ. პარტკომის მდივნად.

კრება მწუხარებით აღნიშნავს ამიერ-კავკასიიდან მისი გადაყვანას და გამოსთქვამს რწმენას, რომ მისი ხელმძღვანელობით ლენინგრადის ორგანიზაცია გამოასწორებს მდგომარეობას ლენინგრადში, და ლენინგრადის ორგანიზაცია ძველებურად დარჩება პარტიის რიგებში და ლენინის პარტიის მთლიანობის დარაჯათ.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ტფილისის გარნიზონის ყველა ნაწილების პარტორგანიზაციების მდივნებს.

წინადადება გეძლევათ პარასკევს ა. წ. 15 იანვარს ერთიან-პარტიულ დღეს.—

საკავშირო კომპარტიის მე-14-ე ყრილობის შედეგების მოსასმენათ, შეუერთდეთ მიმაგრებულ სამოქალაქო პარტორგანიზაციებს.

მე-2-ე ქ. მ. დ. პოლიტგანყოფილება.

### ცხენოსანი ლეგიონი.

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა ლეგიონის ყველა ესკადრონების ახკომკავშირის ჯგუფების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრენ პარტკანდიდატებიც.

კრებამ მოისმინა მოხსენება კავშირის მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა ლეგიონის კომკავშირის ორგანიზატორმა. ამხანაგმა დაწვრილებით აღნიშნა ყველა მიღწევები და ნაკლულოვანებანი მუშაობაში და ხაზი გაუსვა თუ ამჟამად როგორ ნიადაგზეა ის შემდგარი. იყო მრავალი შეკითხვები.

მოხსენების გარშემო გამოტანილ რეზოლიუციაში კრებამ ერთხმად აღნიშნა და დაავალა თითეულ წევრს ენერგიული მონაწილეობა მიიღოს უპარტიო წითელ არმიელების—ღარიბი გლეხებისა და მუშების შვილების კავშირის რიგებში ჩასაბმელად.

შემდეგ კრება გადავიდა კომკავშირის წევრის ამხ. ახობაძის საქმის გარჩევაზე, მაგრამ ერთხმად დაადგინა ეს საკითხი დარჩეს ღიათ და გადაეგზავნოს სამტრედიის ახკომკავშირის რაიკომს, იმის გამოსარკვევათ იმყოფება თუ არა ხსენებული ამხანაგი აღნიშნულ კავშირში და აქვს თუ არა მას წითელ არმიიდან განთავისუფლების საბუთები.

მიმდინარე საკითხში განმარტებული იქნა კავშირში დისციპლინის დაცვის მნიშვნელობა და ის თუ როგორი სასჯელი უნდა მიეცეს მის დამრღვევს.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

### 1-ლი ლეგიონი.

7 იანვარს შესდგა 1-ლი ლეგიონის მეორე ასეულის კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრო წარმომადგენლები სამოქალაქო ორგანიზაციებიდან.

დღის წესრიგში იდგა ორი კითხვა: გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" გავრცელება და აქტივის მუშაობის გაუმჯობესება. მომხსენებელმა გაგვაცნო გაზეთის გავრცელების მნიშვნელობა და დავადგინეთ გამოვიწეროთ გაზეთი—4 კაცზე ერთი ცალი. მეორე საკითხის შესახებ მომხსენებელმა აღნიშნა ა.კ.კ. მომზადების აუცილებლობა და მივიღეთ შემდეგი დადგენილება, რომ ყოველი კ. კ. წევრი გახდეს აქტიური მომუშავე. ამისათვის იქნას შემოღებული, რომ თითეულმა წევრმა მიიღოს მონაწილეობა მდივნობასა და თავმჯდომარეობაში.

კ. მინდიაშვილი.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

## შეისწავლე მარჯვე სროლა.

### რა საჭიროა მანძილის გაზომვა?

ყოველი სამხედრო მსახური სწავლობს მშვიდობიან დროს სამხედრო საქმეს იმიტომ, რომ ომის შემთხვევაში შეეძლოს მტრის წინააღმდეგ ბრძოლა. რომ ბრძოლა მოიგო და მტერზე გაიმარჯვო, ამისთვის საჭიროა დაუყონებლივ და სისწორით ავასრულოდ წესდების ყველა მოთხოვნილება. ასეთი მოთხოვნილება ბევრია და ყველა ესენი ზეპირად უნდა დაისწავლოს მეთაურმა და მეომარმა.

ერთი მთავარი მოთხოვნილება—ესაა მანძილის განსაზღვრა, რომელიც ორგვარია: განსაზღვრა თვალით და ხელსაწყოთი. აქ ჩვენ განვმარტავთ პირველს.

რა საჭიროა მანძილის განსაზღვრა?

ავიღოთ ჩვენთვის ნაცნობი მაგალითი: ბავშობაში ალბად ყველას უცდია ქვების სროლა: როცა გინდა ქვა გაისროლო, აზრით გაზომავ მანძილს, რომელიც უნდა გაიაროს ქვამ. ეს იმიტომ, რომ იცოდე რამდენად ძლიერ და მაღლა უნდა გაისროლო ქვა მიზნამდის რომ მიაღწიოს მან.

შაშხანაში ტყვიის გამსროლი ძალა (დენთის აირი) ყოველთვის ერთნაირია. ხოლო რომ განსაზღვრო რამდენად მაღლა უნდა ასწიო ლულა, ამისათვის შაშხანას აქვს კორა. აქ რჩება გასაგები მხოლოდ მანძილი მიზნამდი. თუ მანძილი კარგად არ აქვს გაზომილი, რა კარგიც არ უნდა იყოს მსროლელი, შეიძლება მიზანში ვერ მოარტყას.

მაგალითად: მოპირდაპირემდი 600 ნაბიჯია. მსროლელმა ვერ განსაზღვრა მანძილი და გაისროლა მუდმივი კორათი რა მოუვიდა ტყვიას? მან გაიარა 200-300 ნაბიჯი და დაეცა მიწაზე იმ დროს, როცა მიზნამდი კიდევ უნდა გაევლო 300-400 ნაბიჯი. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ მსროლელს დაავიწყდა მანძილის განსაზღვრა და ვერ დააყენა კორა, თუმცა დაუმიზნა და გაისროლა სწორად.

მაშასადამე მანძილის განუსაზღვრელად მიზანში სროლა არ შეიძლება. ხოლო თუ ჩვენ მაინც გავისვრით, ამით ჩვენ მტერს გავამხნევებთ სროლის უცოდინარობით და ის უფრო გაბედულად და მტკიცედ შეუდგება თავისი ამოცანის ასრულებას.

მანძილის გაზომვის შესწავლა ძალიან ადვილია. უნდა გქონდეს მხოლოდ სიყვარული და სურვილი სროლის საქმეში. ყოველ შემთხვევაში მინდვრად გასვლის დროს უნდა ივარჯიშო მანძილის გაზომვაში რომელიმე საგნამდი (ხე, სახლი, ხნული და სხვა), ჯერ მოკლე მანძილზე (100-200 ნაბიჯზე), შემდეგ როცა შეეჩვევი, უნდა გადახვიდე 600, 800 და 1000 ნაბიჯიან მანძილის გაზომვაზე.

ი. შ.

# ისროლე მოფიქრებით, ამოირჩიე მნიშვნელოვანი მიზანი.

რომ კარგი მსროლელი გახდე, სროლის გარდა უნდა შეგეძლოს გამოჩენილ მიზნის შეფასება და მათგან ისეთის ამორჩევა, რომლებიც იმ დროს უფრო მნიშვნელოვანია.

მაგალითად, მსროლელის წინ მოთავსებულია მტრის მეტყვიამფრქვევე, რომელიც თავისი ცეცხლით ხელს უშლის გადარბენაში ჩვენს მეომრებს. მსროლელის ამოცანაა ამ ტყვიამფრქვევის შემუსვრა და დროებით თავი უნდა დაანებოს სხვა მიზნებს. უნდა გვახსოვდეს, რომ მსროლელმა უნდა შემუსროს მეტნაწილად უახლოესი მიზნები (1.000 მეტრამდი), ხოლო ამის ზევით ცეცხლს აწარმოებენ ხელის და დაზგის ტყვიამფრქვევები. ამასთან ეს მიზნები მოქცეტებულად წვრილია, როგორც მაგ.: მტრის ცალკე მეომრები, ჩასაფრებული ან ნახევრად ჩასაფრებულები, გადამრბენები, მეტყვიამფრქვევენი, კავშირის მეომრები და სხვა.

მეთაური ეცდება უჩვენოს მეომრებს სად და ვის ესროლოს. მაგრამ ბრძოლაში ეს ყოველთვის ვერაა მოხერხებული. ხშირად მეომარმა თვითონ უნდა ამოირჩიოს მიზანი. ამრიგად მსროლელმა ყოველთვის უნდა ეცადოს ამოირჩიოს ისეთი მიზანი, რომელიც უფრო საშიშია, ხელს უშლის მეომართა წინსვლას და მეტ წინააღმდეგობას გვიწევს. ასეთი მიზნის შემუსვრის შემდეგ მსროლელმა უნდა გადაიტანოს ცეცხლი შემდეგ უფრო მნიშვნელოვან მიზანზე და ასე შემდეგ. პირველი, უფრო მნიშვნელოვანი მიზნის დაზიანებამდი, მეორეზე არ უნდა გადაიტანო ცეცხლი, ვინაიდან ეს იქნება ძალებისა და ვაზნების ამაო ხარჯვა და მტერი გამხნევდება. შეწყვეტა ან გადატანა ცეცხლის შეიძლება მაშინ, როცა პირველი მიზანი მიიმალა და გამოჩნდა მეორე, რომელიც ... შლის ხელს ამოცანის ... რე...ბაში.

ცეცხლის წარმოების ... გამოცდილებით მსროლ... დიდ სარგებლობას მო... თავის ამხანაგებს და საგრძ... ზარალს მიაყენებს მტერს. ... ჯგუფ ცეცხლით თავის ... ამხანაგზე დახმარება საშუ... ბას მოგვცემს ჩქარა დაუხ... ვდეთ მტერს, ვაკვეთო... ტით და ამით ავასრულოთ ... ბრძოლო ამოცანა.

ი.

# 1904-5 ᲬᲚᲔᲑᲘ.

## პირად მოგონებიდან

5-6 ათასი კაცისაგან შემდგარი პროცესია ჯერ სდუმს, ...ქოს მას არ სურს გამოიწვიოს გაბედაობა და დასძა... „მიხვერპლით დაეცი" და ... რევოლიუციონური სიმღერები. პოლიცია ნელი ნაბიჯით მოყვება პროცესიას ... კარაპეტა ტერ-ანტონოვის (პრისტავი) მეთაურობით. მაგრამ სახლვარი ყველაფერს აქვს. პროცესია მივიდა ხონის გადასახვევ ქუჩაზედ თუ არა, გამოჩნდა უზარმაზარი ოქროს ... მოქსოვილი ხავერდის წითელი დროშა და აგუგუნდენ მომღერალთა გუნდები. პროცესია გზაზე ჩერდება სოფელ მაღლაკში, სადაც ამ სოფლის მთელი გლეხობა გვხვდება, წითელი დროშებით და ნიშნათ ... დრო კავშირისა დროშა დროშას ეჯახება. აქ ცოტა ხნით მივცვალებული დაასვენეს და გაიმართა მიტინგი. მიტინგის გათავების შემდეგ პროცესია აიშალა და განაგრძო გზა ხონისაკენ.

შემდეგ შევედით სოფელ გუბში, სადაც იქაური მთელი გლეხობა დაგვხვდა დროშებით და ისეთივე სურათი განმეორდა როგორც მაღლაკში.

პროცესია დაუახლოვდა ქ. ხონს და მიახლოვების დროს მთელი ხონის ორგანიზაცია დროშებით შეგვიერთდა. აქაც იგივე სურათი მეორდება, როგორც ზემოხსენებულ სოფლებში.

მისვლისას ხონის ახლოს შემოგვხვდა ახლათ დანიშნული პრისტავი—იასონა საყვარელიძე, (ყოფილი ოკოლოდოჩნიკი ქუთაისის). როდესაც მან დაინახა ეს უზარმაზარი პროცესია, კუდ ამოძუებული გაიპარა თავის სტრაჟნიკებით. ქალაქის სავაჭროები ერთ წუთში მიიკეტა. დაღამდა. პროცესია გაემართა შუა ქალაქში და მიმართულება მიიღო იმ ეზოისაკენ, სადაც უნდა დაგვესაფლავებია ამხ. საშა. მივედით ადგილზედ. აქ გაიმართა გამოსათხოვარი სიტყვები, უკანასკნელათ გამოვეთხოვეთ საყვარელ საშას და მივაბარეთ მიწას.

აქ საჭიროა აღვნიშნო შემდეგი ფაქტი: ჩვენს რიგებში იყო ორი გადაცმული ჯარის კაცი ფოთის და კურინსკის პოლკებიდან, რომელთაც მათი ორგანიზაციების დავალებით წითელი ლენტით შემკობილი გვირგვინები მიქონდათ ცხედრის წინ.

ასე ამ რიგად დავასაფლავეთ ამხ. საშა წულუკიძე, რომლის სამგლოვიარო პროცესია პირდაპირ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

რევოლიუციონური მოძრაობა დღითი დღე ვითარდებოდა. უპარტიო მასა იმდენათ მოემზადა ბრძოლისთვის, რომ საჭირო იყო მხოლოდ რაიმე ნიშნის მიცემა და მთელი ხალხი იარაღიანი და უიარაღო ქუჩაში მოიწევდა. ეს პირველათ დამტკიცდა ქ. ქუთაისში. ერთ საღამოს მთავარანგელოზის ეკლესიის ზარებმა უცაბედათ ასტეხენ რეკა. პირველად არავინ არ იცოდა თუ რაში იყო საქმე. შეიქნა სავაჭროების დაკეტა, ხალხი ირევა ერთმანეთში და ვერ გამორკვეულან საქმის მდგომარეობაში. მეც გამოვედი სამუშაოდან და თან მაქვს სამი ცალი რევოლვერი ბინაზედ შესანახათ, უცებ მომვარდნენ ამხანაგები.—ი. ჭაჭიაშვილი, მელიტონა ბერიძე და კოლია ჯანელიძე, არ გამაგებინეს რაში იყო საქმე, წაიღეს იარაღები და გაუდგნენ ეტლით ფერმის გზას. ამის შემდეგ შემომხვდა სხვა ამხანაგებიც და გადმომცეს, რომ ფერმაში წრეს შავრაზმელები დაეცნო. მეც ბევრი არ დავაყოვნე უცბად გავწიე ეტლით სახლში, გამოვიტანე ივერჟანა თოფი და გავუდექი გზას ფერმისკენ. გზის აქეთ იქით მხარეზედ ხალხი გამოსული იყო, ზოგი სანადირო თოფით, ზოგი ხმლებით, რევოლვერებით, ზოგს ხანჯლები გრძელ ჯოხებზედ მიეკრათ და მზათ იყვნენ ხელ-ჩართულ ბრძოლისათვის.

(გაგრძელება იქნება).

ს. ლომიძე.



ბოქაულის მკვლელობა.

# წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

## ექსკურსია რკინის გზის მთავარ სახელოსნოში.

მეექვსე ლეგიონი.

გათენდა დილა... დილის 7 საათია. ყველანი მხიარულათ არიან, ემზადებიან. დღეს მთავარ სახელოსნოს ვათვალიერებთ... ისმის საყვირის ხმა. ლეგიონის სკოლა ეწყობა მწყობრათ, გამოდის ლეგიონის ორკესტრიც და მხიარულად მივეშურებით დანიშნულებისამებრ.

მივედით მთავარ სახელოსნოში. თითეული წითელ არმიელი გულის ფანცქალით შეუდგა სახელოსნოს დათვალიერებას. მისვლისთანავე გამოყოფილ იქნენ ტეხნიკები. დაგვყვეს ორ ჯგუფათ და დაგვატარეს სახელოსნო. წითელ არმიელები განცვიფრდნენ სახელოსნოს მოწყობილობით.

ისინი თამამათ ეკითხებოდენ მუშებს და ტეხნიკებს მათთვის გაუგებარ საგნებზე. დაათვალიერეთ ყველა კუთხეები. წითელ არმიელები ერთიმეორეს უამბობდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.

— ეი ბიჭოსა, დალოცვილ იყოს მუშის მარჯვენა, რისი გაკეთება მას არ შენაძლება?

— ამხანაგებო! მე ისე მოვკვდებოდი, ძილშიდაც არ მომესიზმრებოდა აქაური ამბავი, რომ წითელ ყაზარმაში არ მოვხვედროდი. განა როდისმე წარმოვიდგენდი მუშების ასეთ შრომას და მის ნაყოფიერობას? ამბობდენ წითელ არმიელები ამ სანახაობის ნახვის შემდეგ.

დათვალიერების შემდეგ კვლავ ვეწყობით და ისევ მხიარულათ, მუსიკით, მივდივართ წითელ ყაზარმისაკენ.

წითელ არმიელები ძლიერ კმაყოფილნი დარჩნენ ექსკურსიით.

ექსკურსიის მოწყობნი დიდ მადლობას უძღვნიან სახელოსნოს მუშებსა და მის ხელმძღვანელთ ჩვენი კარგად მიღებისა და სათანადო ახსნა-განმარტებისათვის.

სამხკორი ე—ლი.

## ექსკურსია თბილისის რადიო სადგურზე.

მე-2 არტლეგიონი.

ახალწელიწად დილას ლეგიონში დიდი მხიარულება იყო. წითელ არმიელები სიმღერითა და ლოლით ატარებდენ დროს ეზოში. ზოგი ჩვენთაგანი ჩვეულებაზე ლაპარაკობდა, ზოგი საჯინიბოსაკენ მიეშურებოდა ცხენების გასაწმენდათ...

სადილის შემდეგ შევკაზმეთ ცხენები და ამხ. მაჰავარიანის ხელმძღვანელობით ცოტა გავვარჯიშეთ და შემდეგ რამოდენიმე მეთაურების თანხლებით გავემგზავრეთ რადიო სადგურის დასათვალიერებლად.

რამოდენიმე ხნის შემდეგ უკვე დანიშნულ ადგილას ვიყავით. ამხანაგების ყურადღება მიიპყრო რადიო სადგურების უზარმაზარ ანძებმა. ცოტა შესვენების შემდეგ ამხ. კულუბეგაშვილმა გაგვაცნო სადგურის დანიშნულება. უფრო დიდი კმაყოფილება გამოიწვია რადიო სადგურის შინაგანმა დათვალიერებამ და იმან, რომ ჩვენი თვალის წინ ამოქმედდა მოტორი და მოვისმინეთ რადიო ცნობები.

ამის შემდეგ სადგურის უფროსმა წაგვიკითხა ლექცია. გავეცანით სადგურის ყველა ნაწილებს, გვანახეს სათითაოდ მიმღები, გადამცემი და ჰაერის დამტენი აპარატები. სადგურში დავყავით თითქმის 4 ხი საათი და ყველაფერს დაწვრილებით გავეცანით, რის შემდეგ დიდათ ნასიამოვნები გამოვეშურეთ ლეგიონისაკენ.

წ. არმ. გ. დოგრაშვილი.

## ექსკურსია ცხენებით.

ცხენ. ლეგიონი.

კვირას 10 იანვარს ლეგიონის 1-ლი ესკადრონი გაემგზავრა ცხენებით ექსკურსიაზე. დავათვალიერეთ ახლო მახლო გორაკები მთები და სხვა შესანიშნავი პუნქტები, რამაც ძლიერ დააინტერესა წითელი არმიელები. ესკადრონის თავი შეგვპირდა აგრეთვე მეორე ექსკურსიის მოწყობას ტბების დასათვალიერებლად.

ასეთ ექსკურსიებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგან ვეცნობით ადგილმდებარეობას, ტაქტიკის საკითხებს და სხვას.

იმედია ხშირად მოგვიწყობენ ასეთებს.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## ჩვენთანაც დაიწყეს საუბრების ჩატარება.

მეთაურთა სკოლის უმწყობრო გუნდი.

ჩვენი გუნდის ასისთავს დავავალეთ, რომ ხშირად ჩაეტარებია ჩვენთან საუბრები სხვა და სხვა თემებზე. ამხანაგი სიამოვნებით დაგვეთანხმა.

პირველად 12 იანვარს მოეწყო საუბარი, რომელიც ჩაატარეს პოლიტხელმა და გუნდის უფროსმა. პირველმა საუბარმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე.

საუბრის შემდეგ ამხანაგებმა ერთხმად სთხოვეს პოლიტხელს, მოეწყო ექსკურსია ზაგესში, რასაც შეგვპირდა. კარგი იქნება, რაც შეიძლება მალე მოხდებოდეს ეს.

გუნდის წითელ არმიელები მადლობას უძღვნიან პოლიტხელს ასეთი ყურადღებისათვის.

სამხკორი ამბ. კვიკვიძე.

## ჩვენი დრამწრე ამოქმედდა.

2-რე ლეგიონი.

ლეგიონის დრამწრის მუშაობა კარგად არის დაყენებული. წარმოდგენები იმართება სისტემატიურად ამხ. ჩხიკვიშვილის რეჟისორობით. წრეში ხშირად აქვთ მეცადინეობა და დიდი ყურადღებით ეკ[illegible]ევიან ყველა საყურადღებო საკითხების შესწავლას. წითელარმიელებში წრე კარგი ავტორიტეტით სარგებლობს თავისი ენერგიულობის გამო. იმედია ამხანაგები მომავალშიც არ შეასუსტებენ დაწყებულ საქმიანობას.

წ. არმ. შ. სულავა.

## ლენკუთხე ამოქმედდა.

1-ლი არტლეგ. საგაუბიცო ბატარეია.

ლენინის კუთხემ იმდენად დააინტერესა თითეული არმიელი პოლიტიკური მუშაობით, რომ ერთ წუთსაც არ კარგავენ ტყვილაუბრალოდ.

ყველა ლენკუთხეში იყრის თავს თავისუფალ საათებში, ყველას ჟურნალ-გაზეთები უჭირავთ ხელში, კითხულობენ და მეცადინეობენ. გაუგებარი სიტყვები შეაქვთ კითხვა-პასუხის რვეულებში, რასაც მათ დაწვრილებით უხსნის ლენკუთხის გამგე. ერთი დღეც არ ჩაივლის ისე, რომ კუთხეში არ მოეწყოს ხმამაღალი წითხვა ან საუბარი საინტერესო საკითხებზე. წითელ არმიელები უკლებლივ ესწრებიან. საუბრებს უმთავრესად ატარებენ კუთხეში აქტივი წითელ არმიელები.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## მოგვიწყვეთ ფეხბურთელთა წრე.

3-მე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონში გამოცხადებისთანავე უდიდესი ყურადღება მიექცა ჩვენს ყოველმხრივად განვითარების საქმეს და ამ მიზნით მოწყობილი-დაარსებული იქნა სხვადასხვა წრეები, როგორიც არის პოლიტ-წრე, დრამ წრე, სამხკორთა წრე, მომღერალთა, საერთო განათლების წრე, და ამასთან ერთად შეგვპირდენ ფეხბურთელთა წრის მოწყობასაც.

მიუხედავათ ამისა ჯერჯერობით მას ყურადღებას არავინ აქცევს. საჭიროა ჩვენმა ხელმძღვანელებმა ამასაც მიაქციონ ყურადღება და ჩაატარონ ფეხბურთელთა წრის მეცადინეობაც.

სამხკორი ქოლაბნელი.

## საწრეო მუშაობა გაცხოველდა

1-ლი ლეგიონი.

ლეგიონის ყველა ასეულებში არსებობს სამხკორთა და რემედასის წრეები. მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს ცხრილის მიხედვით. ასეულებში ენერგიულ მეცადინეობას აწარმოებენ აგრეთვე სხვა წრეები.

ხშირად ეწყობა ლენინის კუთხეებში ლიტერატურული და სხვა გასამართლებები, რომლებიც ძლიერ იზიდავს არმიელთა ფართო მასებს,

ათასეულის მასშტაბით დაარსებულია აგრეთვე პოლიტსკოლები, რომელთა მეცადინეობას პარტიული და კომკავშირის წევრების გარდა ესწრებიან სხვა მსურველი უპარტიო არმიელებიც.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

## წვევამდე მზადების წერტებზე.

### წვევამდელთა საქმიანობა ჩვენს ნაწილში.

მე-2 საკავშირო ასეული.

უკვე ერთი თვე არის, რაც ჩვენს ნაწილში დაიწყო წვევამდელთა მეცადინეობა, რომლებიც თავიდანვე ენერგიულად და შეგნებულად შეხვდენ შეკრებას. ისინი ძლიერ დაინტერესებული არიან სამხედრო საქმის შესწავლით.

წვევამდელთა შორის 35 პრ. კომკავშირელებია.

შეკრებისთანავე მოხდა კომკავშირელთა, პარტწევრების და კანდიდატების გაერთიანებული კრება და აირჩიეს ბიურო კოლექტივი, გაშუქებულ იქნა წვევამდელთა მომზადების მნიშვნელობა. ამავე კრებაზე არჩეულ იქნა კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია, რომელსაც დაევალა გაზეთის გამოშვება. მოწყობილ იქნა სხვა და სხვა კუთხეები, როგორიც არის: ლენინის კუთხე, სამხედრო და სპეციალური ტეხნიკური კუთხე.

ბიურო კოლექტივმა შეადგინა მუშაობის გეგმა, რომელშიდაც გათვალისწინებულია შეკრების დასრულებამდის ბიუროს მუშაობა.

გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთი, რომელშიდაც გაშუქებულია წვევამდელთა ყოფა ცხოვრება. ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირია: ქართველი 60 პრ. რუსი 10 პროც. სომეხი 27 პრ. სხვა და სხვა 3 პროც. როგორც სამხედრო, ისე სპეციალური და პოლიტიკური მეცადინეობა სწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

პოლიტხელმძღვანელებით გამოყოფილი არიან კომკავშირის წევრები წვევამდელთა რიგებიდან. პოლიტხელებს შემოღებული აქვთ დღიურები, სადაც ინიშნება მეცადინეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ლენკუთხეში ეწყობა ხმამაღალი კითხვა. დისციპლინა მტკიცეა. განწყობილება მეთაურთა, პოლიტშემადგენლობას და ქვეელ წითელ არმიელებთან საუცხოოა. საგნების შეთვისებაც დამაკმაყოფილებელია.

მეცადინეობაზე უმიზეზოთ დაუსწრებლობას ადგილი თითქმის არ ჰქონია.

სამხკორი ვ. გორათელი.

## რწმუნებულების თათბირი.

მე-4 ლეგიონი.

20 დეკემბერს შესდგა მე-2 ათასეულში ტერ-რწმუნებულების თათბირი, რომელსაც დაესწრენ ყველა თემ-რწმუნებულები.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხი. 1) მოხსენება 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის და 2) საბჭოების ხელახალი არჩევნების შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა კაკაბაძემ, რომელმაც აღნიშნა დაწვრილებით 1905 წლის მნიშვნელობა.

მომხსენებელმა მოუწოდა თემრწმუნებულებს, რომ ყველა მათგანმა გააკეთონ მოხსენება თავიანთ თემებში და აგრეთვე მოიწვიონ ცვალებადი წითელ არმიელები და გააცნონ 1905 წლის რევოლიუციის მნიშვნელობა.

მომხსენებლის წინადადება კრებამ ერთხმად მიიღო.

ამხ. გარსევანიშვილმა გააცნო თათბირს საბჭოების არჩევნების მნიშვნელობა და მოუწოდა ყველას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ არჩევას და გაიყვანონ საბჭოებში ცვალებად წითელ არმიელები და ტერ-რწმუნებულნი, რომ ამით შევსძლოთ წითელ არმიელებსა და გლეხებს შორის მჭიდრო კავშირის გაბმა.

ლავრო ჭელიძე.

## სამხედრო საქმე ჩვენთან.

მეთაურთა სკოლა.

გასულ წელში საკარვო პერიოდამდე სკოლის სამხედრო წრეები შესამჩნევად მოისუსტებდნენ. საბანაკო პერიოდის მეორე ნახევარში სამხედრო წრეების მუშაობა გამოცოცხლდა და სკოლის გარე მასაში (სოფლებშიაც) გადავიდა.

სკოლის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებამ („ვნო“-მ) [illegible]კის საშეფო სოფლებში გა[illegible]-მსურველთათვის ვარჯიშობა, სროლაში, ქიმიური ომ[illegible] და სხვა სამხედრო საკით[illegible] საუბრები.

[illegible] სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება გასული სამოსწავლო წლის განმავლობაში აწარმოებდა მეთაურთა შორის პრაქტიკული—სამხედრო ამოცანების დამუშავებას და ასე დამუშავებული ამოცანები მხოლოდ ეძლეოდა სამხედრო წრეებს. ამჟამად მიღებულია ზომები, რათა ყოველგვარი საინტერესო, რთული საკითხები და ამოცანები გაირჩეს თვით წრეში.

სამხედრო წრეები ეწყობა ასეულებრივად—თითო ასეულში დამოუკიდებლად და ცხენოსან და საარტილერიო განყოფილებაში—ერთი საერთო წრე და შემდეგ ყველა სამხედრო წრეები ერთდებიან სკოლის—სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობაში, რომლის მთავარი ხელმძღვანელობითაც სამხ. წრეების მუშაობა—იწარმოებს სკოლის გარეშედაც—სოფელში და სამოქალაქო ორგანიზაციებში.

ასეულების სამხედრო წრეების გააქტივების მიზნით მიღებულია ზომები, რათა ცალკე წრეებმა სკოლის „ვნო“-ს გამგეობის ხელმძღვანელობით და დახმარებით—აწარმოონ მუშაობა არა სამხედრო ორგანიზაციებში სამხედრო კუთხეების მოწყობა, სამხედრო ამოცანებზე საუბრები და პრაქტიკული სამხედრო ამოცანების წარმოება.

21 დეკემბერს, სკოლის სამხედრო წრეების უჯრედთა გაერთიანებულ კრებაზე, რომელსაც 9 კურსანტი და 25 მდე უფ-პოლიტშემადგენელი დაესწრო—მიღებული იქნა, რომ სკოლის სამხ. სამეცნიერო გამგეობის ხელმძღვანელობით უჯრედების პრეზიდიუმები იმუშავებენ საწარმოო გეგმას (პირველად ერთი თვით)—ალაგებენ საკითხებს და შემდეგ გადააქვთ უჯრედში. უჯრედის მიღწევები გადადის სკოლის ფარგლებში—ეწყობა სამხედრო პროპაგანდის საღამოები, იცემა სამხედრო კედლის გაზეთი და სხვა.

მუშაობის ასეთი წესი ამრავლებს და ამზადებს აქტივებს, რომელთა პირდაპირი დანიშნულებაა—სკოლის გარეშე სამხედრო მუშაობის წარმოება. უჯრედებთან მიმაგრებულნი არიან სკოლის უფ-პოლიტშემადგენლობის სამხედრო ცოდნით დაინტერესებული პირები.

წრეებში მუშაობა ნება-ყოფლობითია, მაგრამ უჯრედების მიზანია თავისი შესაფერი აგიტაციითა და საქმიანობით უჯრედის მუშაობაში ჩააბას ყველა სერიოზული ძალები.

ზემოდ აღნიშნულ კრების თავმჯდომარემ—ამხ. ტალახაძემ აღნიშნა, რომ სამხედრო წრეების სხვა სერიოზულ საკითხთა შორის უნდა დაისვას შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებიც, ვინაიდან მეთაურისთვის, რომელსაც ხშირად დამოუკიდებლად უხდება მოქმედება—დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგიის, მანძილისა და დროის ეკონომიას.

კრებამ საჭიროდ სცნო—მთავარი ყურადღება მიექცეს დაკვირვებების და მიღწევების გაშუქებას მასის წინაშე.

სამხედრო წრეებს საქმე დიდი აქვთ გასაკეთებელი, სამხედრო სკოლაში მათზე ხელმძღვანელობა უკვე სწორია და სწორი გზით სვლამ—უნდა გაადვილოს ჩვენი მუშაობა.

უფროსი კურსის ყოველი კურსანტი უნდა ცდილობდეს სამხედრო წრის მუშაობაში თავისი წვლილის შეტანას.

სამხკორი ჩვენი.

## ჩვენც ვმუშაობთ.

**მეოთხე ლეგიონის მეცხრე ასეული.**

…ვევამდელთა მეცადინეობა …ტეხზე მიმდინარეობს ნორ-…რალ. მეცადინეობა კვირა-…წარმოებს 5 დღე. სამწყო-… მეცადინეობის გარდა ჩვენ-… წარმოებს პოლიტიკურიც. …ლიტსაათების გატარებისა-…ის ადგ. პარტკომის მიერ გა-…ყოფილია ჯგუფის 2 ხელმძ-…ნელი. პოლიტ-საათები ტა-…დება სომხურ და ქართულ …ებზე. წერტზე ადგ. ალმას-…მის მიერ მომაგრებულია ერ-… ექიმი, რომელიც კვირაში …ჯერ ატარებს სანიტარულ …სიათის საუბრებს.

…სული წლის 20 დეკემ-…რს ადგ. კლუბში წვევამდელ-…თვის მოეწყო უფასო წარ-…დგენა ჩვენი ასეულის ძა-…ებით. წარმოდგენის მოწყო-…ში დიდ აქტივობას იჩენდენ …მკავშირელებიც. დადგმულ …ქნა პიესები: „პროლეტარი …ალი“ და „დეზერტირი“. წარმოდგენის დაწყებამდე პიესების შინაარსისა და მნიშვნელობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ჩვენმა პოლიტხელმა. წარმოდგენა კარგად ჩატარდა და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა დამსწრეებზე და განსაკუთრებით კი წვევამდელებზე.

გარდა ამისა წერტზე წვევამდელთა შორის სწარმოებს ჟურნალ-გაზეთების ხმამაღალი კითხვა, რითაც წვევამდელები ეცნობიან საინტერესო ამბებს, როგორც ჩვენი კავშირისას, ისე მის გარეთ.

ასეულში ამ ჟამად დაარსებულია სალიკვიდაციო სკოლა, სადაც ეხლა წერა-კითხვას სწავლობს 50 წვევამდელი. მათ დარიგებული აქვთ წიგნები, რვეულები და სხვა საჭირო ნივთები.

ვანია კალამკაროვი.

# …ოსპეთ ნაკლულევანებანი

## მოგვეცით საჭირო ჭურჭლები.

**1-ლი ლეგიონი.**

ლეგიონის სასადილოში ხშირად ჩხუბსა და აურზაურს …ქვს ადგილი წითელ არმიელებს შორის. ამ მოვლენას იწვევს … გარემოება, რომ სასადილოში არა გვაქვს ჩაიდანების საკ-…რო რაოდენობა, არც ქვაბებიდან დასარიგებელი ჩამჩები და …ხვა. წითელ არმიელები ერთმანეთს ეცილებიან, გაიმართება …ჩხუბი და რაც არის იგიც იმსხვრევა. ამას გარდა არც სა-…რაულოებზე არის განათება, რაც ძლიერ აძნელებს მოვა-…ლეობის პირნათლად შესრულებას დროა ყველა ამას მიექცეს …ყურადღება და უზრუნველგვყონ საჭირო საგნებით.

წ. არმ. გ. ილი.

## საჭირო საათი.

**4-ხე ლეგ. 9-რე ასეული.**

ამ უკანასკნელ ხანებში მაინც ასეული ყოველმხრივ კარ-…გად მოეწყო, მაგრამ საათის უქონლობა მაინც ძლიერ გვაწუ-…ხებს. ამას გარდა ასეულში დიდ საჭიროებას შეადგენს აგრე-…ვე წითელ არმიელებისათვის თავის საკრეჭი და საპარსავი …ხარალები. იმედია სხვა სიკეთესთან ერთად ამითაც დაგვაკმა-…ყოფილებენ ჩვენი მესვეურები.

სამხკარი ა. იმერლიშვილი.

## ჩვენც მოგვეცით საშვალება.

**6-ხე ლეგ. საკომენდანტო ოცეული.**

ლეგიონის საკომენდანტო ოცეულიდან ზოგიერთი წი-…თელ არმიელები ასრულებენ სხვადასხვა მოვალეობას. ვრჩე-…ბით რამოდენიმე განწესებისათვის და თითქმის არავინ გვეცვ-…ლება. არა გვაქვს საშვალება მეცადინეობისა და კულტურულ …გართობისა. ვერ ვესწრებით კინო სურათებს და წარმოდგე-…ნებს.

ჩვენც მოგვეცით ამის საშვალება.

წ. არმ. ტოროშელიძე.

## მოგვეცით საპონი.

**2 რე მესანგრე ასეული.**

აგერ ოთხი თვე იქნება რაც ასეულის წითელ არმიე-…ლებს არ მიგვიღია ხვედრი საპონი. ჩვენ ყველაზე უფრო გვე-…საჭიროება საპონი, რადგან როგორც სპეც ნაწილი მივდივართ …ავ ფიზიკურ სამუშაოზე და ყოველ დღე ვისვრებით. დროა …ანეთ ნაწილი მოგვაქცევდეს შესაფერ ყურადღებას.

ართმოველი კოლა.

## ცხენებს აფუჭებენ.

**3-მე ლეგიონი.**

ლეგიონის ზოგიერთი არმიელები, წაიყვანებენ ცხენებს …უსარწყულებლად და გზაში იმდენს აჭენებენ, რომ უკან გა-…ოფლიანებული მოყავთ. ამას გარდა ხშირად კერძო მოქალა-…ქეებსაც აგდებენ საფრთხეში. ასეთი შემთხვევები ხშირია.

ამას წინად ერთმა ამხანაგმა კინაღამ გაიტანა ბავშვიანი …ალი. როდესაც ამხანაგს მისცეს გაფრთხილება გამვლელებმა …ან პირიქით უშვერი სიტყვებით მიმართა მათ. საჭიროა უფ-…როსებმა სათანადო გაფრთხილება მისცენ მათ.

ს. ფრანგიშვილი.

## ვინ იქნება შემდეგი?

ყულისკარის წერტის წვევამდელები ვიწერთ ერთ ცალ გაზეთ „წითელ არმიელს“ ექვსი თვით, ყულისკარის სამკითხველოს სახელზე გაზეთის გლეხებში გავრცელების მიზნით და ვიწვევთ ამავე ლეგიონის პირველი ათასეულის მე-3-მე ასეულის მე-3-მე ოცეულის წვევამდელებს, მესამე ათასეულის მეცხრე ასეულის მე-3-მე ოცეულის წვევამდელებს, და მასთან ქართულ მეთაურთა სამხ. სკოლის 1-ლი ასეულის მე-3-მე ოცეულის კურსანტებს.

მინდობილობით წერტის ხელ. მდივანი გ. კვარაცხელია.

**მეხუთე ლეგიონის მეხუთე ასეულის ზუგდიდის წერტის** წვევამდელები, ვიწერთ გაზეთ „წითელ არმიელს“ ორი თვით ხუთი თემისთვის ორ—ორ ცალს და ვიწვევთ შემდეგი წერტის წვევამდელებს:

1) ყულისკარის წერტს; 2) ცაიშის წერტს; 3) ახალი და ძველი სენაკის წერტებს; 4) აბაშის, 5) მარნის, 6) ოზურგეთის, 7) გორის, 8) დუშეთის 9) თბილისის და ლიუქსემბურგის წერტებს, რათა გამოუწერონ თავიანთ თემებს აღნიშნული გაზეთი.

პოლიტხელი კ. ბალათურია.
რწმუნებული წვევამდელი ი. ჭანტურია.

## ამბები სოფლებიდან.

**გორის ალმასკომის წინაშე,** ძეგვის სათემო ალმასკომმა აღძრა შუამდგომლობა გამოსცეს სავალდებულო დადგენილება ღამე სოფლებში ქუჩების განათების შესახებ.

**გურჯაანის გლეხკომმა** შეიძინა ტანისამოსი ადგილობრივი ფიზკულტურის წრისათვის.

**ბაკურციხის გლეხკომი** დახმარებას უწევს ადგილობრივ სკოლას, ქსეხონს და სამკითხველოს, როგორც ფულით, ისე ხორბლით.

**გელათის მახლობლად** (ქუთ. მ.) მდ. წყალწითელაზე ხიდის ასაგებათ სამაზრო ალმასკომის გამოანგარიშებით საჭიროა 2 ათასი მანეთი.

**კონტრაბანდასთან ბრძოლა** აჭარაში ოსმალეთისაკენ მოსაზღვრე სოფლებში არსდებიან საგანგებო სამეულები კონტრაბანდასთან საბრძოლველად.

## ახალი ამბები.

— **1905 წლის** რევოლიუციის აღსანიშნავათ დღეს კონსერვატორიაში გაიმართება კონცერტი, რომელზედაც მიწვეულია 100 წითელ-არმიელი.

— **კინოს შეძენა.** ტფ. ალმასკომის განათლების განყოფილება იძენს კინო აპარატს, მაზრაში მოძრავი კინო თეატრის მოსაწყობათ.

— **მთელ ტფილისის მაზრაში** უკანასკნელი ცნობებით ითვლება 36 ათასი წერა-კითხვის უცოდინარი.

— **მაზრაში სკოლების** შესაკეთებლათ ტფილისის ალმასკომმა გადასდო 22 ათასი მანეთი.

— **ახალი კოოპერატივი.** ტფილისში დაარსდა მებაღე-მეურნეთა ახალი კოოპერატივი „მებაღე“.

— **ადგილობრივ მნიშვნელობის** ტყეების გამოყოფაზე დღემდე საქართველოში დაიხარჯა 14 ათასი მანეთი.

— **15 იანვარს** ტფილისში იხსნება ფარმაცევტების მოსამზადებელი კურსები.

— **საზოგადო სამუშაოები.** ვერის ხიდიდან საბურთალომდე გზა-ტკეცილის გაყვანა უკვე დასრულდა. გზის გაყვანა დაჯდა 9 ათასი მანეთით ნაკლები, ვიდრე გამოანგარიშებული იყო.

— **ზოოლოგიური ბაღი.** ტფილისში განზრახულია მოეწყოს ზოოლოგიური ბაღი.

## უცხოეთის არმიებში

**ოფიცრები არ ასრულებენ ბრძანებას.**

11 ნოემბერს საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა შემდეგი ბრძანება გასცა არმიაში:

„ნაციონალური დღესასწაულის—ვერსალის ხელშეკრულების წლის თავის გამო—ყველა სასჯელი, რომლებიც მისჯილი აქვთ ჯარის კაცებს, უქმდება, გარდა იმ სასჯელებისა, რომელთა სისრულეში მოყვანას დისციპლინის განმტკიცებისათვის აუცილებლად ჩასთვლიან კორპუსების მეთაურები.

მაგრამ ყველა სამხედრო ნაწილებს არ მოუყვანიათ სისრულეში ეს ბრძანება. მაგალითად 508 პოლკის მეთაურ გრილომ მთელი კვირის განმავლობაში არ მოიყვანა ის სისრულეში.

კომუნისტური გაზეთი „იუმანიტე“ კითხულობს: უმაღლესი სარდლობის ბრძანების დაუყონებლივ სისრულეში მოუყვანლობით, გრილოს პოლკი გამოდიოდა თუ არა დისციპლინის ინტერესებიდან?

რევოლიუციონურმა პარტიებმა აღუთქვეს ჯარის კაცებს „დაჯარიმების ხარისხიანობის“ გაუქმებისათვის ბრძოლა, მაგრამ არც სამხედრო მინისტრი, არც მთავარ სარდალი პასუხს არ იძლევიან მათ შეკითხვაზე.

## ჩვენი ფოსტა

ამხ. გ. ხურ—ძეს თქვენი წერილი წერტის ცხოვრების შესახებ არ გავა. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

ამხ. შ. კუპრაშვილს (6-ხე ლეგწერტი). წერილი კავთისხევის წერტის შესახებ არ გამოდგა. გაურკვეველია.

ამხ. ა. მინადორაშვილს (1-ლი არტლეგ) კორესპონდენცია „ალარ ეშველა“ გადაეგზავნება ნაწილის სამხკომს.

ამხ. პ. ძახიძეს (ცხენ. ლეგ.) თქვენი წერილი პარტიული ცხოვრების შესახებ მეტად დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

ამხ. ამხ. წყლისპირელს (1ლ ლეგ.) და კიქნაძეს თქვენი წერილები კიკვიძის შესახებ და არ გვავარგა პარიკმახერი გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

ამხ. ამხ. ვ. ნოზაძეს და ცაცხვისძირელს თქვენი წერილები ღორების ბინის შესახებ გამოდგება კედლის გაზეთში, ხოლო ხინის დარიგების შესახებ დაგვიანებულია.

## ვის აქვს საწინაალმდეგო?

მე-2-ე ქართულ მსროლელ ლეგიონის 1-ლ ასეულის 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ ამხ. რევია აკაკი დავითის-ძეს (სენაკის მაზრის მცხოვრები) და პარტიაში წევრად გადარიცხვის შესახებ ამხ. გურჩიაზოვ ლევან ბორისეს-ძეს (ცხინვალის მაზრის მცხოვრები). თუ ვინმეს აქვთ ზემოხსენებულ ამხანაგებზე რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-2-ე ქარ. მსრ. ლეგიონის 1 ლი ომკუჯრედი.

## განცხადებები

14 იანვარს, საღამოს 5 საათზე მეექვსე ლეგიონის კლუბში შესდგება კომკავშირის წევრთა გაერთიანებული დახურული კრება, რომლის დღის წესრიგში სდგას მოხსენება „კომკავშირის საკითხები მე-14-ე პარტყრილობაზე.“ აღნიშნულ კრებაზე დასწრება სავალდებულოა შემდეგი ნაწილების კომკავშირის წევრებისათვის; მეექვსე, ცხენოსანი, მეორე საარტილერიო ლეგიონების, მეორე დივიზიის საკავშირო და მესანგრე ასეულების და ცხენოსან ესკადრონის.

2 რე დივ. პოლიტ-განყოფილების საორგ ნიზ. ნაწილის უფროსი ნ. ბლუ შვილი.


ამხანაგო წითელ არმიელო!

გახსოვდეს შენი მოვალეობა.
გმართებს არაჩვეულებრივი მზრუნველობა.
ყოველ დღე შეეკითხე შენს თავს—
რა გააკეთე მთელი დღის განმავლობაში,
რამდენი ხელისმომწერი უშოვე
„წითელ არმიელ-“ს

გაავრცელე · გაავრცელე · დაეხმარე · გამოიწერეთ
„ამიერკავ. ასოსიაცია“ შეკ · „წითელი არმიელი“ გაზ.

რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

| | | |
|---|---|---|
| 1 თვით | — | 50 კაპ. |
| 3 თვით | — | 1 მ. 35 კ. |
| 6 თვით | — | 2 მ. 50 კ. |
| 12 თვით | — | 5 მან. |

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

| | | |
|---|---|---|
| 1 თვით | — | 40 კაპ. |
| 3 თვით | — | 1 მ. 10 კ. |
| 6 თვით | — | 2 მ. |
| 12 თვით | — | 3 მ. 80 კაპ. |

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც. სამხედროსტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე